საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 119 (139) ოთხშაბათი, 19 ივნისი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და მათ ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას

პატივცემულო ბატონო სიგუა, დიდად ვეთანაგრძნობთ 1991 წლის 15 ივნისს მიწისძვრის დროს დაღუპულთა ნათესავებსა და ახლობლებს. მზად ვართ ყოველნაირი დახმარება გაგიწიოთ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

ხომხეთის მთავრობის
თავმჯდომმარე
ვაზგენ მანუკიანი.

თანაგრძნობისა და მხარდაჭერის დეპეშები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუას

რუსეთის მთავრობის სახელით საქართველოს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას დიდ თანაგრძნობას ვუცხადებ რესპუბლიკაზე თავს დატეხილი სტიქიური უბედურების — დამანგრეველი მიწისძვრის გამო, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა.

რუსეთის სფსრ რესპუბლიკის შთაგრობა მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ხალხს. რუსეთის მაშველთა კორპუსს შეუძლია ნებისმიერ მომენტში გამოგზავნოს თავისი რაზმი ოპერატიული დახმარების გასაწევად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე
ი. სილაევი.
საქინფორმი.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მოაწყო მრავალპარტიული არჩევნები, რის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. მათი ძალისხმევით 1991 წლის 9 აპრილს აღდგა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. აღნიშნული ამბებისადმი საბჭოთა ოფიციალური პრესის დამოკიდებულება აშკარად მტრული იყო, რასაც კიდევ უფრო გააფთრებული ხასიათი მიეცა 1991 წლის 26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამის მკაფიო დასტურია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „იზვესტიის“ 1991 წლის 13 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი „საქართველო, 1991 წლის ზაფხული“. ეს არა მარტო სიყალბეა, არამედ მთელი საქართველოს და მისი კანონიერი პრეზიდენტის აშკარა შეურაცხყოფაა. სწორედ ამის გამო გამომცემლობა „სამშობლოს“ მუშებმა უარი თქვეს „იზვესტიის“ დაბეჭდვაზე. ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მკაცრ პროტესტს და მოგიწოდებთ ხელი აიღოთ ცივილიზებულ საზოგადოებისათვის შეუფერებელ მსგავს მოქმედებაზე. სადავო არ უნდა იყოს, რომ პრესა ღიაძლისა და შფოთის კი არ უნდა თესავდეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, არამედ, პირიქით, ჰუმანისტური მიზანდასახულობით იღვწოდეს ამ ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

აკაკი ასათიანი,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

სტიქია

ჩემი შვილები მანახეთ...

რამდენიმე ხნის წინ ოსმა „ოვალებმა“ ხელში ჩაიგდეს ბორჯომელი ცხინვალის რაიონის სოფელ საცხენეთის მკვიდრი, ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა ელგუჯა ხადური, რომელსაც ბარბაროსული ცემა-წამების შემდეგ ფეხების წვიანები დაუხვრიტეს, თოკები გაუყარეს და ცხენის კუდზე გამომბმულს ამოჰბადეს სული... კაცთაგან გაწწრიული, ბედს შეგებული გრძელ სოფელში მიინც იმედიანი მიდიოდა... ოთხ შვილს ტოკვიზა შნიურ ქვეყანაში, და აგერ უკვე მესამე თვე მისი დანატოვარი ოდრე წასული მამის მოგონებებით ცხოვრობდა.

იმ დღესაც ასე იყო. ოჯახის მარჩენალმა მზია ხადურმა ობოლი შვილები დააპურა და დასაძინებლად დაიწვინა. გამთენიისას პატარა ლიანვის ზეობაში საშინელი გრიალი გაისმა. დიდი ფეხზე წამოიჭრა. პატარა ლანას აკვანს ხელი დაავლო და ეზოში გაიქრა. მყისვე შებრუნდა მძინარე ბიჭებთან, მაგრამ კარის ზღურბლთან ჩაიკეცა...

მთელი ხეობა ფეხზე დადგა.

ისობით ეროვნელმა, ვანათელმა მიაშურა საცხენეთს. კარის ზღურბლთან ოთვეს გონებადაკარგული ოჯახის მარჩენელი და გორის საავადმყოფოში გაექანეს. დამსმენენი სასწრაფოდ შეუდგნენ ოთახის ნანგრევებისგან გასუფთავებას. სტიქიის შეწირული სამი ძმა: მეგლუდ, გიორგი და თემურ ხადურები ისევ ერთად, უხმოდ იწვნენ ლოგინში.

დედა?

გორში საავადმყოფოს იმ პალატის კართან, სადაც მზია ხადური წევს, ახალგაზრდა ექთანმა შეშაჩერა.

— რედაქციიდან გახლავართ, იქნებ ქალბატონ მზიასთან დამალაპარაკოთ?

— მზიას მძიმე ტრავმა აქვს, მასთან დალაპარაკება მავნებელია.

— იქნებ ერთი წუთით?

— ბატონო ჩემო, მზიამ არ იცის, რომ მისი ბიჭები აღარ არიან. გონებადაკარგული მზოლოდ ერთს გაიძახის: ჩემი შვილები მაჩვენეთ!

ვცილდებოდი საავადმყოფოს და ერთი აზრი მიიერნინდა გულს: ეღირსება კი სიკვდილთან მებრძოლ ბედშავ ქალს მზიურ ქვეყანაზე წამებდათვლილი შვილების ნახვა?

საცხენეთს ბუნების მძვინვარე სტიქიამ მეორე თალხიც მოახვია... რუსთაველმა ქალბატონმა მზია კეპაშვილმა შვილიშვილი — პატარა რუსუდანი ამ ზაფხულს დასასვენებლად მშობლიურ სოფელში წაიყვანა. ბებია და შვილიშვილი თანატოლებივით დაეორობდნენ სოფლის შემოგარენში, ლიანვის ჭალებში, ერთად კითხულობდნენ დედა ენას.. იმ საღამოსაც თვალებატუტა გოგონას, ვინ იცის, მერამდენედ უყვებოდა წითელქუდას ზღაპარს... მომავალი ნათელი დღის იმედით ჩაეძინათ ბებიას და შვილიშვილს, როგორ საშველად მოსულებმა ოთახი ჩაქცეული ეკრანისა და კედლის ქვისაგან გაწმინდეს, ნახეს, რომ საწოლში ბებია შვილიშვილზე იყო გადაფარებული, მაგრამ კედლიდან გადმოვარდნილ ცივ ქვას პატარა რუსუდანისათვის მზიური სიცოცხლე წაერთმია...

სოფელ საცხენეთში ეს კომლამდე მოსახლეა. თითო-ოროლა ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების გარდა, ყველა დანგრეულია. ასევე მწყობრიდან არის გამოსული ორასრული საშუალო სკოლის შენობა, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი. პრაქტიკულად სოფელში ცხოვრება შეუძლებელია. საქართველოს მთავრობამ დაზარალებულთა ნორმალური ცხოვრებისათვის ოპერატიულად განახორციელა ქმედითი ღონისძიებები. სასწრაფოდ გაეგზავნათ კარვები, პროდუქტი, მედიკამენტები. მომდინარეობს მოსახლეობის, კერძოდ, მოზუცებისა და ბავშვების, ევაკუაცია, ტრავმირებულნი გორის საავადმყოფოში მკურნალობენ.

იმ დღეს გადაეღებლივ წვიმდა, მაგრამ საცხენეთში მუშაობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა. მთელი ხეობა სოფლის გვერდით იდგა. შეკრებილთ გაგვესაუბრე.

— როგორც ჩანს, სოფელი საცხოვრებლად აღარ ვარგა, სად აპირებთ გადასახლებას?

— გადასახლებას? — გაიკვირვა დ. ხადურმა და სიტყვა აღარ დაამატა, — მამა-პაპური კერის მიტოვებას არც ერთი საცხენეთელი არ აპირებს, ჩვენს მთავრობას ხმა მიაწვდინეთ, რომ სამშენებლო მასალები დროულად გამოგვიყოს და საქმესაც მოვაგვარებთ. ამ შემოდგომას ჩვენს ბინებში ვიქნებით ისევ. კიდევ რამდენიმე სათხოვარი გვაქვს: სოფელში ერთი ექთანის ანაბარა ვართ, დროებით იქნებ ერთი მორიგე ექიმი გამოგვიყონ. მარმალა, გორიდან შეკარონი, ვერმიშელი, კოსტერი ამოგვიტანეს, როგორმე ფქვილსაც რომ მოგვაწვდიდნენ.

— გორის რაიონის გარდა არავინ გეხმარებათ?

— ჯერჯერობით არავინ.

— ცხინვალიდან?

— მე ოსი ქალი ვარ ქართველზე გათხოვილი, — საუბარში სამოცდაათწელს გადაცილებული მანდილოსანი ზ. ბეკოევა ჩაერია, — ცხინვალი ჩვენთვის აღარ არსებობს, ისინი ზედაც აღარ გვიყურებენ, ისე იქცევიან, თითქოს ჩვენ სხვა სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ. ისე თავიანთთვის კი გაიძახიან, ოღონ ისევ არსებობსო. ეს ალბათ, მარტო ცხინვალში, თორემ... ცხინვალის ვინ ჩინეს, ამ ბაუჩარების ეს ომს ჩემმა მახლობლებმაც დამივიწყეს.

სოფელ საცხენეთიდან ოთხოლდ კილომეტრის მოშორებითაა სოფელი ბელოთი, ხეობის ძველი ადმინისტრაციული ცენტრი, განთქმული მშრომელი ხალხითა და სტუმართმოყვარეობით. მიწისძვრამ სოფელს თავისი მრისხანე ხელი დაატყო. დაინგრა არასრული საშუალო სკოლის, სამედიცინო პუნქტის, სასოფლო საბჭოს, მაღაზიის შენობები. მწყობრიდანაა გამოსული საცხოვრებელი სახლების, აბსოლუტური უმრავლესობა. საბედნიეროდ, ადამიანის მსხვერპლი არ არის.

სოფლის ახალგაზრდობამ — თამაზ და აკაკი ტერაშვილებმა, გოჩა დემეტრაშვილმა და სხვებმა იმ ღამეს ისახლეს თავი. ს

სოფელი

სტიქია ვერ ფაშლის გმირთა ნაკვალევს

მიწისძვრამ, რომელმაც მოიცვა რაჭის და ზემო იმერეთის რაიონები, კოლოსალური ნგრევა გამოიწვია. დაიხგრა არა მარტო თანამედროვე ნაგებობანი, არამედ საუკუნეგამოვლილი ისტორიული ძეგლებიც. სრულიად მოისრა კვარა-ციხე, რომელსაც რუსის ჯარმა გასულ საუკუნეში ზარბაზნებითაც კი ვერაფერი დააკლო.

რას წარმოიდგენდნენ ამბროლაურის რაიონის ყველაზე მაღალმთიანი სოფლის ფუტიეთის მკვიდრნი, რომ 171 წლის შემდეგ სოფელს კვლავ მიწასთან გასწორება ელოდა. 1820 წლის 21 მაისს (ახალი სტილით 3 ივნისს) რუსის დამსჯელ ჯარსა და აჯანყებულ ქართველებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა საკალესიო სოფელ ფუტიეთში, სადაც გმირის სიკვდილით დაეცა 2000 მამაცი შვილი. ეს აჯანყება, რომელიც 1819-20 წლებში მოხდა იმერეთის სამეფოში, სასტიკად ჩაახშო რუსეთის ხელისუფლებამ. აი, როგორ იკვეხნიდა კავკასიის იმ დროინდელი მთავარმართებელი, ერმოლოვი: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბოლი და ვენახები ძირამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობაში“.

დღეს უკვე სტიქიამ მოსრა სოფელი ფუტიეთი, რუსეთის იმპერიის დამსჯელი ოპერაციის შემდეგ 1879 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის შეწევნით აგებული და მის მიერვე კურთხეული ღვთისშობლის მოქმედი ეკლესია სრულიად დაინგრა. ფუტიეთი, რომელშიც 100 კომლი იყო წარსულში, ძლიერი და სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ 70 წლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა მას ძირეულად გამოაცალა ეროვნული ცხოვრების სასიცოცხლო ნიშანი, რის გამოც დღემდე 5 კომლიღა შემორჩა და სწორედ მათზე გადაიარა ამ საშინელმა მიწისძვრამ. საბედნიეროდ მიწისძვრის დროს ყველა მცხოვრები საგაზაფხულო სამუშაოებით იყო დაკავებული, რამაც ღვთის განგებით უმსხვერპლოდ გადაარჩინა ისინი. სამაგიეროდ სოფელში არ დარჩენილა არავითარი ნაგებობა, ყველაფერი ფიწალთან გასწორდა.

გასულ საუკუნეში რუსეთის იმპერიის ბოროტებით განადგურებული საკალესიო სოფელი კვლავ ფეხზე წამოუყენებია ხალხს და ღვთის მოსავ გაბრიელ ეპისკოპოსს, გმირული ტრადიციების და სარწმუნოების ერთგულ სოფელს დღესაც ვერ აკცევს ნასახლარად მიწისძვრა, ასე ფიქრობენ სოფლის სულიერი მოძღვარი მამა ზაზა და მისი მრევლი, აგრეთვე სოფლის საშვილად მოსული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იუსუფ მელაძე, მერაბ ნემსწვერიძე, ზურაბ მაჭარაშვილი, გია როსტომაშვილი და დათო კაციტაძე. თბილისს 110-ე პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლები მიხეილ ფრანგიშვილი, ემილ გასვიანი, ავთანდილ მაისურაძე, ჯონდო აბესაძე, ვასილ კაშია, ჯემალ გიორგაძე, ოთარ იხასარიძე; თბილისის საზეინკლო სამონტაჟო იარაღების საცდელი ქარხნის თანამშრომლები მიხეილ ახობაძე, მერაბ მელაძე, გარიკ ოგანესიანი და სამტრესტის მექანიკური საამქროს ოსტატი შოთა იარაჯული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ პირველი აღდგენითი სამუშაოები სწორედ სოფლის დაკცეული ეკლესიით დაიწყო. კატასტროფის მესამე დღესვე განთავისუფლდა საკურთხეველი, საკვირველი ის იყო, რომ უკლებლივ, დაუზიანებლად გამოჰქონდათ ვეებერთელა ლოდებს ქვეშ მოყოლილი საეკლესიო ნივთები და ხატები.

ფუტიეთი კვლავ უნდა აღსდგეს, ასე ფიქრობენ სოფლის შეფები, თბილისის გლდანის რაიონის ხელმძღვანელები. მათი გარჯით უკვე ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება სოფლის აღორძინებისთვის. მაგრამ შეფების კეთილ განზრახვას რამდენადმე აფერხებს სოფელ ფუტიეთის ცუდი საგზაო პირობები. თუმცა, როგორც გვარწმუნებენ, საგზაო უწყება ამ საქმეს მოკლე დროში მოაგვარებსო. დაპროექტდა და გაკეთდება გზა სხვვივ-ფუტიეთის მოხაკვეთზე, აგრეთვე ფუტიეთი-ზემო ბარის მიმართულებითაც. პერსპექტიულია ფუტიეთის დაკავშირება საჩხერის რაიონის სოფელ მოხვთან, ეს გზა უმოკლესი და ხელსაყრელია რაჭა თბილისის დასაკავშირებლად. საგზაო პრობლემების გადაჭრის გარეშე გაპირდება სოფელ ფუტიეთის აღდგენითი სამუშაოები. გარდა ამისა სოფელს ესაჭიროება დიზელ-გენერატორი დროებითი ელექტრომომარაგებისათვის, წყლის ავზები და გასასაკუთრებით საჭიროა აღდგეს სოფლის ტელეფონ-გადამცემი მოწყობილობა.

სოფელს დახმარების ხელი გამოუწოდა თბილისის ბაბუშკინის ქუჩაზე მცხოვრებმა, სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობამ. მათმა თავკაცმა ზელიმ მაისურაძემ სტიქიის მეორე დღესვე შეკრიბა ქუჩის მცხოვრებთაგან 22 კაციანი მაშველი რაზმი და გაემგზავრა კატასტროფის რაიონებისაკენ. გაეცნენ რა სოფელ ფუტიეთის გმირულ წარსულს და სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალს, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს არა მარტო სოფლის აღდგენაში მიიღონ მონაწილეობა, არამედ 1820 წლის 21 მაისის ტრაგიკული ბრძოლის 2000 გმირის უკვდავსაყოფად, გადაწყვიტეს თბილისის პროფექტურას მიმართონ თხოვნით, რომ ბოლშევიკ ბაბუშკინის ქუჩის ეწოდოს ფუტიეთის ქუჩა. ამ ქუჩის მცხოვრებლებს და სოფელ ფუტიეთის მცხოვრებთა შორის კი შემდგომაც გაგრძელდება მეგობრობა.

ასეთივე ინიციატივა გამოიჩინეს მარტვილის რაიონის სოფელ ვედიდკარის აგროკომბინატის თანამშრომლებმაც. მათმა თავკაცმა ნოდარ ხარებავამ, მოადგილემ ვლადიმერ რჯრუამ, ინჟინერებმა სერგო ფანკულაიამ, ოლეგ მამარდაშვილმა და გულადი ჭაკვამ. მათ გაპირვებაში არ დატოვეს ფუტიეთელები. სხვადასხვა პროდუქტით უხვად დატვირთული მანქანით, პირველები მივიდნენ ფუტიეთში. ვედიდკარელები სისტემატურად აკითხავენ და ეხმარებიან ფუტიეთელებს.

ფუტიეთის აღდგენას სერიოზულად უყურებენ თბილისის გლდანის რაიონის მესვეურებიც. 1820 წლის 21 მაისის გმირთა მემორიალის აგებასაც ფიქრობენ.

გმირული ტრადიციების მქონე საეკლესიო სოფელი ფუტიეთი კვლავ იცოცხლებს და იარსებებს, იმედს იძლევიან კეთილი ადამიანები.

ავთანდილ გიორგობიანი.

მისამართი

გაზეთ „აიდგილარში“ გამოქვეყნდა „მიმართვა სვან ხალხს“, რომლის ხელისმოწერი ოსები მიმართავენ სვანებს. დიდად სასიამოვნოა პირველი წინადადება — „ძვირფასო მეგობრებო“... მართლაც კარგად ასახავს ჩვენი, ასევე კავკასიის მთიან ზოლში მოსახლე სხვა ტომების ერთიან ოჯახად ცხოვრებას, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინათაა ფესვგადგმული. ამის უტყუარი საბუთია ბრინჯაოს ხანის, ანტიკური და შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები, ასევე ჩვენი წინაპრებისაგან ეშირად მოსმენილი გულთბილი მოგონებები ოსებთან, ბალყარებთან, ყაბარდოელებთან, აფხაზებთან მეგობრობისა და ძმეთეობის შესახებ.

სამწუხაროდ, წერილის შინაარსმა ძმიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ჯერ ერთი, „სვანი ხალხი“ არ არსებობს, არსებობს ქართველი ხალხი და ქართველი ერი, რომლის შემადგენელი ნაწილია სვანთა ქართული ტომი. სვანი თუ მეგრელი, შუასაუკუნეების აფხაზი ქართველი ტომები იყვნენ. აფხაზები შემდგომში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიულმა ძალებმა მოწყვიტეს ქართულ ეროვნულ სხეულს და, როგორც უკანასკნელი მოვლენებიც მოწმობენ, დედა-ორგანიზმს დაუპირისპირეს. ამის ძლიერი სურვილი ჩანს თქვენს მოწოდებაშიც.

ძალიან ძნელია რაიმე გააგებინო იმ ხალხის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლის ისტორიული განვითარება სხვა გზით მიდიოდა, რომლის ეროვნული ცნობიერება აპლაკა იდგამს ფეხს (ისიც საქართველოში მცხოვრები ოსების წყალობით), ჩვენი ეროვნული ცნობიერება კი საუკუნეების წინათაც ქართული იყო. სვანური ეროვნული თვითგამორკვევა იგივე ქართული თვითგამორკვევაა და იგი ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ხანას უკავშირდება. ჩვენი ქრისტიანული ეკლესია კი, მოგეხსენებათ, სამოციქულო იყო. ანდრია პირველმოციქული და სიმონ კანანელი ან მოციქულთა სწორი წმინდა ნინო. ავრცელებდნენ საქართველოში და, მაშასადამე, სვანეთშიც, ქრისტიანობას. სიმონ კანანელი სვანეთშიც ამოსულა.

სვანეთი მოფენილია ქრისტიანული ეკლესიებითა და სალოცავებით. ქრისტიანულ რელიგიას აქ დაბადა ნოყიერი წარმართული ნიადაგი: ტოტემიზმი, კულტი თუ თაყვანისცემა მზის ღვთაებისა, რომელიც ზოგად ქრისტიანულ თეოლოგიაში ქრისტეს სულდადა მიჩნეული.

სვანების ისტორიული ცხოვრება ცალკე არ არსებობს, მოწყვეტილი დედასამშობლოს ისტორიისაგან. სვანი ისევე ქმნიდა, საქართველოს ისტორიას, მის ეროვნულ კულტურას, როგორც დანარჩენი ქართველები — მეგრელები, იმერლები, კახელები, ქართლელები და ა. შ. არ არსებობს ცალკე სვანური, მეგრული ან კახური სახელმწიფოებრიობა, სვანური ან იმერული კულტურა და ა. შ. ყველაფერი ეს ერთად შექმნილია და ათასწლეულებში ერთად გამოტარებული. ქართულ (ოსურ) სახელმწიფოებრიობას სულ ცოტა 26 საუკუნის ისტორია აქვს. განა ამ წესრიგით, პოლიტიკური წყობით ერთად არ მოვდიოდით? განა ქართული ცივილიზაცია, მისი ყველა შემადგენელი ნაწილი რომ გააჩნია, ჩვენი ერთობლივი შემოქმედება არ არის? ნიკო მარის პერიფრაზით რომ ვთქვათ, თუ კი მსოფლიოში ნაკლებად პოპულარულია ქართული ცივილიზაცია, ეს მეცნიერების ბრალია, და არა იმისა, თითქოს ამ ცივილიზაციას ღირსება აკლდეს. ყოველ ერს თავისი ისტორიული ბედი აქვს. თქვენ უნდა დაფიქრებულიყავით იმაზე, ვიდრე წერილს დაბეჭდავდით „სვანი ხალხისადმი“, თუ საიდან მოვდივართ ჩვენ, რამდენი საუკუნე ცივილიზებულად მოწყობილი სახელმწიფოს ფარგლებში ერთად გაგვიტარებია, და არა ისე, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლით და საძოვრებს გამოდევნებით და ომების წარმოებით, ვიდრე, ბოლოს, ოსებმა, სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას გაიჩენდით.

წერილის ავტორებს რა სურთ? ეს ალიტიკური წყობით ერთად არ მოვდიოდით? ახლა დავიწყოთ თვითგამორკვევა? გამოვეყოთ ეროვნულ სხეულს და ანბანის შექმნით დავიწყოთ? ჩვენ ჩვენი წინაპრების გზით უნდა წავიდეთ. ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებადვე დავრჩებით უკუნისამდე.

თქვენ ახლა რუსული იმპერიული აზროვნება ჩვენს ზურგს უკან ჩვენს წინააღმდეგ გაქეზებთ, ვითომ თქვენს ინტერესებს იცავდეს და გმფარველობდეთ. იცოდეთ, ამ იმპერიულ აზროვნებას ქარს გავატანოთ სვანების დღემდე განვლილი ისტორია? ახლა დავიწყოთ თვითგამორკვევა? გამოვეყოთ ეროვნულ სხეულს და ანბანის შექმნით დავიწყოთ? ჩვენ ჩვენი წინაპრების გზით უნდა წავიდეთ. ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებადვე დავრჩებით უკუნისამდე.

თქვენ ახლა რუსული იმპერიული აზროვნება ჩვენს ზურგს უკან ჩვენს წინააღმდეგ გაქეზებთ, ვითომ თქვენს ინტერესებს იცავდეს და გმფარველობდეთ. იცოდეთ, ამ იმპერიულ აზროვნებას ნებისმიერ ქვეყანაში მოღვაწე არაადგილობრივი ერების ადამიანი მითითალოს, ისტორიის მკვლევლის ფუნქცია დაეკისროს. პირიქით, სხვა ერების წარმომადგენლები სწორედ ისე და იმ ტრადიციით მოქმედებენ, როგორსაც ეს ქვეყანა უყენებს. მაშინ, ჩვენც თუ თქვენს გზას გავყევით, ძალიან ბევრ ქართველს გამოვძებნით ირანის სამეფო ხელისუფლებისა თუ ბიზანტიისა ან თურქეთის კარზე ან სულაც რუსეთში. ვის სჭირდება ეს? ელემენტარულ კრიტიკასაც (სხვას რომ თავი დავანებოთ) ვერ უძლებს თქვენი მოგონილი ზღაპრები.

რაც შეეხებათ სვანებს, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვართ ძირძველი ქართველური ტომების შთამომავალნი, ისტორიულად უღალატო და ერის საარსებო ინტერესებისათვის თავდადებულად მებრძოლნი. ამასთან, სისხლში გვაქვს გამჯდარი მეგობრობისა და ძმობის გრძნობა ჩვენს მეზობლად მოსახლე კავკასიის მთიელთა, მათ შორის ოსების მიმართ. ამიტომაცაა, რომ დღემდე სულგრაჯულად ვართ გაჩუმებული და ველოდეთ რომ თქვენს გონივრულ შემობრუნებას სამართლიანობის, საკუთარი ხალხის მომავლისა და კავკასიის მთიელთა ურთიერთპატივისცემის ტრადიციების შესანარჩუნებლად. გვიყვარდეს ჩვენი საერთო სახლი — კავკასია, მოვუაროთ მას, დავიცვათ მისი ეკოლოგია. აბა, რად გვინდა დენთით გამოტენილი კავკასიის ძღვიმეები? ან რა საჭიროა ამდენი საძიებო გეოლოგიური პარტიები, რომელთა მითითებებითაც იბურღება დედაქანები?

კავკასიის ეკოლოგიისა და მისი ბინადარი ხალხის გადასარჩენად ომი კი არა, ამ ხალხების გონიერ წარმომადგენელთა ერთ მაგიდასთან დაჯდომა და უამბიციო მოლაპარაკებაა საჭირო. ჩვენი ენერგია დაეზარჯოთ კეთილი საქმეების კეთებაში, რომლებიც თობებს გადასწვდება და სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

ბირთვულ საუკუნეში ყველამ უნდა იცოდეს, რომ საომარი ძალა დამანგრეველია. თუმცა ქართველმა ყოველთვის იცოდა, რომ მტრობა ანგრევს და მხოლოდ სიყვარული აშენებს.

და ბოლოს, ბრძენ ინდოელსაც მოვუსმინოთ: „რისხვას ვერა სძლევ რისხვითა, რისხვა ემორჩილება მხოლოდ მშვიდობას“.

ზოთა ჩართოლანი,
სრულიად საქართველოს სადროშო „ლემის“ სვანეთის რეგიონის ხელმძღვანელი.

პასუხად მეზობელ ოსებს

მატრიარქატისა და ტოტემიზმის ხანაში ჩაეყარა საფუძველი წარმართულ ღვთაება „დალს“ და მასთან დაკავშირებულ „დალის ხეობას“, რომელშიც გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორია იგულისხმება (დღევანდელი აფხაზეთის ასსრ). მაშასადამე, ტოტემიზმის ხანიდან მოყოლებული ამ მხარეს თითქმის თავის ტოტემი— ტერიტორიად, თავის დედად, პირველსაწყისად გულისხმობდნენ სვანები. ასევე ტოტემიზმით და, რაც მთავარია, სვანეთის არქეოლოგიური ნივთიერი მასალებით რეკონსტრუირდება სვანთა ქართული ტომის გავრცელების არე, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს გარდა იმიერკავკასიაშიც გადადის.

ჩვენი ნათესაური ურთიერთპატივისცემა ტრადიციულად თაობიდან თაობაზე გადადიოდა, რადგან, სვანებმა იცოდნენ: იმიერკავკასიაში მთი მიწა-წყალი იყო, ხოლო ოსებმა იცოდნენ: იგი კავკასიის ავტოხტონებისა იყო. ეს — ადრეულ ხანაში.

ისევე ნაკლებად აინტერესებს ოსები და მათი თვითგამორკვევა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას სვადასხვა სეპარატისტებისა და ოსი ექსტრემისტების („ადამონ ნიხასი“) ხელით ებრძვის. თორემ განა სამართლიანია ან ისტორიულად ახმორალურად ან იურიდიულად საქართველოს ტერიტორიაზე იმ ხალხის სახელმწიფოს მოწყობა, რომელსაც სვაგან თავისი ნამდვილი სამშობლო აქვს? მაშინ რატომ მხოლოდ ოსები იმსახურებენ ამას? რა დაამავეს საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა, ქურთებმა, ებრაელებმა და ა. შ. ან რატომ არ აძლევს ცენტრი სახელმწიფოებრივი მოწყობის უფლებას გერმანელებს ვოლგისპირეთში? იმიტომ, რომ გერმანელებს თავიანთი სამშობლო აქვთ.

„ადამონ ნიხასის“ ბევრი წარმომადგენელი ითვლის ვითომდაც ოსური წარმოშობის ქართველებს. ეს პრიმიტივიზმია. განა შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში მოღვაწე არაადგილობრივი ერების ადამიანი მითითალოს, ისტორიის მკვლევლის ფუნქცია დაეკისროს. პირიქით, სხვა ერების წარმომადგენლები სწორედ ისე და იმ ტრადიციით მოქმედებენ, როგორსაც ეს ქვეყანა უყენებს. მაშინ, ჩვენც თუ თქვენს გზას გავყევით, ძალიან ბევრ ქართველს გამოვძებნით ირანის სამეფო ხელისუფლებისა თუ ბიზანტიისა ან თურქეთის კარზე ან სულაც რუსეთში. ვის სჭირდება ეს? ელემენტარულ კრიტიკასაც (სხვას რომ თავი დავანებოთ) ვერ უძლებს თქვენი მოგონილი ზღაპრები.

თქვენ ჩვენდამი მოწოდებებს თავი დაანებეთ. ფრაზაში რომ კეკლუცობთ „დაუმორჩილებელი ოსებით“, განა თქვენ არ ემორჩილებით რუსეთის იმპერიას? განა ეს არ დაამტკიცეთ დედაქალაქის სახელის „ვლადიკავკაზით“ შეცვლის დროსაც, განა თვითონ არ ჭრით იმ ტოტსაც, რომელზეც სხედხართ, როცა მიეძალეთ ყოველივეს უცხოს — რუსულს (სკოლებს, თეატრს, ყოფას) საკუთარი კულტურისა და ტრადიციების საზიანოდ? ბოლოს იქამდეც მიხვედით, რომ კავკასიური ძმობის მოსასპობად, იმპერიული ძალებისაგან გაბრიყვებულნი, მათგანვე მოწოდებული იარაღით ბარბაროსულად ხოცავთ უდანაშაულო ქართველს საკუთარ მიწაზე, საკუთარ სახლში, ანადგურებთ, ეცილს აძლევთ სოფლებს, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, ყველაფერს, რაც კი მშრომელი კაცის სასიკეთოდ გაჭირვებით აშენდა ავადსახსენებელი იმპერიული მმართველობის წლებში.

ზაფხული

ზატილში. გონდო დადვაძის ფოტო.

წერილები რედაქციას

მადლობას ვუხდით

უზომოდ ბედნიერი ვარ ჩემი შვილის ახალი „დაბადებით“. მართლაც რომ დაიბადა 6 წლის პატარა ნიკა, ჩვეულებრივი ენერგიით ჩაება ცხოვრების ფერხულში. დიდი ხნის ნანატრი სურვილი აგვისრულდა.

ნიკა ჭიქინაძე დაავადებული იყო თანდაყოლილი კომბინირებული მანკით, 6 თვიდან აღრიცხვაზე იმყოფებოდა ბაკულევის გულსისხლძარღვთა კლინიკაში. ზრდასთან ერთად მდგომარეობა უარესდებოდა.

საქართველოს ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროს კადრების განყოფილების გამგის კოტე ბარქაიას დახმარებით შეეძელით ამერიკის შეერთებულ შტატებში „დებორას“ კლინიკასთან დაკავშირება, სადაც მუშაობს ჩვენი შესანიშნავი თანამემამულე, პროფესორი კოტე დათეშიძე. ეს კლინიკა მთლიანად საქველმოქმედოა, თუმცა თვით ამერიკელებისთვის ფასიანია მკურნალობა. ბავშვთა განყოფილებას აქვს პროგრამა „მსოფლიო ბავშვებს“, სადაც ოპერაციები უკეთდებათ ბავშვებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.

ამ წერილის დაწერით მე კიდევ ერთხელ მინდა ვამცნო მთელ საქართველოს, რომ აშშ-ში არის არაჩვეულებრივი ქართველი, რომელიც უდიდეს მამულიშვილურ საქმეს აკეთებს, მისი საფიქრალია, რაც შეიძლება მეტი ქართველი გულით დაავადებული ბავშვი დაუბრუნდეს ჯანსაღი საქართველოს. მინდა მადლობა გადავუხადო მთელ „დებორას“ კოლექტივს ქირურგის მაკ გრატის ხელმძღვანელობით, რომლებმაც არ დაიშურეს ძალ-ღონე ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად. მადლობას ვუხდით ჩვენს უსაყვარლეს ბარკურების ოჯახს და განსაკუთრებით დიანა ბარკერს, რომელმაც განსაკუთრებული სითბო გამოიჩინა ჩვენს მიმართ და მატერიალური დახმარებაც კი აღმოგვიჩინა.

დიდ მადლობას ვუხდით იმ კოოპერატივებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი გულისტკივილი და მატერიალური დახმარების ხელი გაგვიმართეს. ესენი არიან: კოოპერატივი „ჩუქურთმა“, კოოპერატივი „მუზა“ საყვავილე გაერთიანება „სამაია“.

რუსუდან ჭიჭინაძე-გიორგაძე

დღეს—ხვალისათვის

კარტოგრაფია სახელმწიფოს სახეა

თბილისში 1936 წლიდან არსებობს კარტოგრაფიული ფაბრიკა. თავიდან იგი სულხან-საბას ქუჩაზე, სარდაფში იყო მოთავსებული, მერე ტოპოგრაფიული ტექნიკუმის შენობაში, ახლანდელი შენობა, რომელიც მეტროს სადგურის „სანდრო ახმეტელის“ სიახლოვეს მდებარეობს, 1976 წელს ამოქმედდა. მის აშენებასა და სათანადო დანადგარებით აღჭურვაში ექვს მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. დღიდან დაარსებისა თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა საკავშირო გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს სისტემაში შედის. წლეულს კი ჩვენთან შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტი, ამიერიდან სწორედ ამ დეპარტამენტის გამგებლობაში გადავიდა თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა, თუმცა საკავშირო სამმართველოს ასე იოლად არ სურთ მისი დათმობა.

თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკას ნედლეულის 99 პროცენტი შემოაქვს სხვადასხვა რეგიონებიდან. 1991 წლისათვის გაფორმებული ხელშეკრულებებად რუსეთის საწარმოები ჯერჯერობით კვლავ გვაწვდიან ნედლეულს (რომ არ გამოგიტყვინონ ჯარიმა გადაიხდიან და მხოლოდ ამიტომ არ არღვევენ პირობას) 1992 წლისათვის კი უიმედო პერსპექტივა ისახება, რუსეთის წარმოებები აღარ აპირებენ ჩვენთან ხელშეკრულებების გაფორმებას, ნედლეულის იმპორტის იმედი სხვა ქვეყნებიდან ნაკლებად უნდა ვიქონიოთ, რადგან რესპუბლიკას საამისო ვალუტა არა აქვს, ისევ ჩვენშივე უნდა გამოიძებნოს ნედლეული, რომ ფაბრიკა კვლავ მწყობრში დარჩეს. მას შეუძლია დიდი მოგება მოუტანოს რესპუბლიკის ეკონომიკას. თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა ხომ უნიკალურია, იგი ერთადერთია ამიერკავკასიაში.

ჩვენ დავინტერესდით, რა ძვრები, რა ცვლილებები ხდება თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში, შეეხვდით მის დირექტორს ბატონ ოთარ საბანაძეს, იგი ცხრა წელიწადია სათავეში უდგას აღნიშნულ ფაბრიკას, ადრე აქვე მუშაობდა რიგით ინჟინრად. წარმოების გეგმა ფაბრიკაში ქრონიკულად არ სრულდებოდა, მოშლილი იყო შრომის ორგანიზაცია. ხოლო ხუთი წელია ეს ფაბრიკა მომგებიანი გახდა, წარმოების მოცულობით იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს სისტემაში. ფაბრიკაში ორასი კაცი მუშაობს, შრომის ანაზღაურება ბოლო ხანებში 250-300 პროცენტით გაიზარდა. მოწოდებულ მუშაკები 900 მანეთამდე იღებენ ჯასამრჯელოდ, საშუალო ხელფასი კი — 300 მანეთია. ბატონი ოთარი ჩვენთან საუბრისას ფაბრიკის თითქმის ყველა პრობლემას შეეხო, იგი იმედიანად უყურებს კარტოგრაფიის მომავალს საქართველოში: „რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინების პროექტში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ტურისტულ ბიზნესს, როგორც ვალუტის მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში თვითეული ტურისტზე 3-4 დასახელების ტურისტული რუკა ან სქემა მოდის. დღესდღეობით ვაკრძალეთ დაკვეთთ ამ თემატიკის ტირაჟები, რომლებიც 1991 წლის გეგმაში გვაქვს, შეადგენს 1000 ცალიდან 3000 ცალამდე. არადა ტირაჟის ზრდის ხარჯზე უნდა ხდებოდეს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება — ჩვენ მზად ვართ დიდი ტირაჟით ვბეჭდოთ ჩვენი ქალაქები, მაგრამ ვაჭრობის მოთხოვნილება არ არის, თუმცა პირიქით უნდა ხდებოდეს.

ამჟერად ჩვენ ოთხი სახის ტურისტულ სქემას ვამზადებთ: საქართველოს რესპუბლიკა, დიდგორის ბრძოლა, სამხრეთ საქართველო, საქართველოს საკულტო ნაგებობები. ასევე გამოვუშვებთ 320 მილიმეტრიან 4000 ცალ გეოგრაფიულ გლობუსს ქართულ ენაზე და ძალიან გვჭირდება მისი გასაღება. ფაბრიკას გეგმაში აქვს გამოსცეს გეოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი, კოლხეთის ატლასი, საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები.

გარდა ჩვენი ძირითადი საქმისა, დიდ დახმარებას ვუწევდით წლების მანძილზე საქართველოს გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტს — ჩვენთან დაიბეჭდა ქართული ენციკლოპედიის ბოლო სამი ტომი, რუსულ-ქართული ლექსიკონის მთელი ტირაჟი, ოცამდე ქართველი მწერლისა და პოეტის წიგნი. მათ შორის — გალაკტიონი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეები.

ჩვენ ვფიქრობთ ფაბრიკის ნაწარმის, კერძოდ, გლობუსების ფასი ჩვენ ამ ფასებზე ბევრი ფიქრობენ. ეს ფასები ჯერ ჯერობით ოფიციალურ ფასებია, ეს ფასები ბაზარზე ბევრ ადგილას ეფარება ბაზარზე ფასებს. ეს ფასები

პრესკონფერენცია

მინისტრი ანგარიშს აბარებს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს გაწეული მუშაობის. შესახებ თავისებური ანგარიში გახდა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი ხოშტარიას პრესკონფერენცია ქართველი ჟურნალისტებისათვის.

ბატონ ხოშტარიას აზრით, შეერთებული შტატები ერთი იმ პრიორიტეტული ქვეყანთაგანია, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საარსებო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. ამ მოგზაურობის მიზანი იყო ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შეხვედრის ცდა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვიზიტის მომზადება.

საქართველოს დელეგაციას შეხვდნენ ამერიკის ადმინისტრაციის საჩინო ფიგურები, რომლებთანაც ფრიად სასარგებლო საუბრები გაიმართა. საინტერესო იყო შეხვედრები ვირჯინიის უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ცენტრში თვალსაჩინო საზელმწიფო მოღვაწესთან ზბიგნევ ბჟეზინსკისთანაც. სხვათა შორის, იგი დათანხმდა ეწვიოს საქართველოს ამა წლის ნოემბერში.

რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურს დამაიმედებლად მიაჩნია კონტაქტები, რომლებიც დაამყარა დიდი ბიზნესის წარმომადგენლებთან.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომავალ ვიზიტს შეერთებულ შტატებში, ახლა მიმდინარეობს ამერიკის მხარის მიერ შემოთავაზებული რამდენიმე წინადადებიდან მისი განხორციელების ერთ-ერთი ვარიანტის შერჩევა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

გია კორძაძე.
საქინფორმი.

ზბიგნევ ბჟეზინსკი გამარჯვებას გვისურვებს

დამოუკიდებელი ინგლისურენოვანი გაზეთის — „ჯორჯიან მესენჯერის“ რედაქტორის ირაკლი კენჭოშვილის სახელზე ამერიკის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრიდან მოვიდა ეროვნული უშიშროების დარგში 1977-1981 წლებში პრეზიდენტ ჯ. კარტერის თანამშრომლის ზბიგნევ ბჟეზინსკის წერილი, რომელშიც სრულიადარობას უცხადებს ქართველ ხალხს რეალური დამოუკიდებლობისა თვის ბრძოლაში. აი, ამ წერილის ტექსტი:

„ბატონ ირ. კენჭოშვილს!

მე საშუალება მომეცა წამეკითხა „ჯორჯიან მესენჯერის“ რამოდენიმე უკანასკნელი ნომერი და გწერთ, რომ გაუწყოთ — ფრიად ნასიამოვნები დავრჩი თქვენი გამოცემით.

ესარგებლობ შემთხვევით და გისურვებთ თქვენ და ყველა ქართველს სრულ წარმატებას თქვენს ბრძოლაში ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საუკეთესო სურვილებით
გულითადად

ზ. ბჟეზინსკი“

საკუთარ სახლში

ყოჩაღ, კაპიტანო!

ბათუმის ნავსადგურში პირველად შემოვიდა საბჭოთა. გემი, რომლის ანძაზე ფრიალებდა საქართველოს რესპუბლიკის დროშა.

ჯერ კიდევ ნეიტრალურ წყლებში ყოფნისას, შავი ზღვის სანაოსნოს მშრალტვირთიანი გემის „მეგანიკ ლრენის“ კაპიტანმა ვსევოლოდ ფილატოვმა ბათუმის ნავსადგურის კაპიტნის სამსახურს გაუგზავნა რადიოგრამა, რომელშიც ითხოვდა ლოცმანთან ერთად გამოეგზავნათ საქართველოს ეროვნული დროშა. გამოცილიმ მეზღვაურმა, შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ოდესელმა ვსევოლოდ ფილატოვმა ამ ჟესტით გამოსატა თავისი მადლიერება და პატივისცემა დემოკრატიული საქართველოსადმი.

ნავსადგურში სტუმრებს ტაშით შეხვდნენ. ჰაერში აიჭრა მტრედების გუნდი.

— ყველა რესპუბლიკა უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, — თქვა ბატონმა ვ. ფილატოვმა. — მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი პირველად აღმემართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, რესპუბლიკისა, რომლისთვისაც ჩამოვიტანეთ ხორბალი ავსტრალიიდან.

კეთილი ყოს თქვენი მობრძანება ბატონო კაპიტანო! თქვენი მაგალითი მისაბაძია.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

შავი წიგნი

კრულ იყოს მათი სახელი...

1990 წლის 28 ოქტომბერს, ქართველი ერისათვის ისტორიულ დღეს, როცა საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გამოსცა საგანგებო ბრძანება. მასში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ყოველი ქართველი — კაცის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა და უდანაშაულობისა, გამოცხადდება ქართველი ერის მტრად.

ამ საგანგებო ბრძანების გამოცემა საჭირო შეიქნა იმის გამო, რომ საქართველოში სამუდამოდ აღკვეთილიყო უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე — ძმათა კვლა. ბრძანების თანახმად მკვლელის სახელი და გვარი უნდა შეტანილიყო საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადასაცემოდ თაობიდან თაობას რაოდენ სამარცხვინო და დასაგმობი.

და, აი, საპატრიარქოს ამ „შავ წიგნში“ შეიტანეს მკვლელების გვარები: გოჩა გრიგოლის ძე ბერაშვილი, რომელმაც ამა წლის 20 იანვარს მოკლა თეიმურაზ ივანეს ძე ბალიაშვილი და ბეჟან ვიქტორის ძე კიკვიძე, რომელმაც მოკლა თავისი ყოფილი მეუღლე ზნილფა დავითის ასული ედიშერაშვილი.

ამ პირთა ქმედება ღალატის ტოლფასია, ისინი გამოცხადნენ ერის მტრებად, რომელთა სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც განკიცხულთა და შერისხულთა.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერი არავის აპატიებს ძმათა კვლას. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთურთი, გვქონდეს უნარი პატიებისა, მიტევებისა, თავშეკავებისა, სულგრძელობისა. ამას გვასწავლის ქრისტიანული მორალი, ამასვე მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მამული, რომელსაც ძვირად უღირს თითოეული ქართველის სიცოცხლე.

საქინფორმი.

ჰრეზიერა

ნოდარ დუმბაძის პიესა სოხუმის სცენაზე

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე შორეგ პრემიერად უჩვენეს ნოდარ დუმბაძის ლირიკული კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

სოხუმის სცენაზე შესანიშნავი ქართველი მწერლის ნაწარმოების პირველი სცენური გარდაქმნა როდია ეს. აქ წარმატებით აჩვენებდნენ „მე ვხედავ მზეს“, „მარადისობის კანონს“, „საბრალდებო დასკვნას“.

ახალი სპექტაკლის დადგმა განახორციელა გიგა ლორთქიფანიძემ, მხატვარია — მამია მალაზონია.

სურათებზე: ილიკო — **დავით** გაჩეჩილაძე, ბებია — ფლორა შედანია, ილარიონი — გოგი ქავთარაძე; სცენა სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ირაკლი პოსოლელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში დამკვიდრდა მიუღებელი ტრადიცია, როცა კანონპროექტები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები განიხილება რეგლამენტით დადგენილი წესის მიხედვით, ოღონდ ყოველმხრივ შეუსწავლელად. ხშირია შემთხვევები, როდესაც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები მიიღება ტექსტზე თვლის ერთი გადავლებით ან ზოგჯერ ზეპირად მოსმენითაც კი.

მრავალჯზისი მოთხოვნის მიუხედავად ვერ მოხერხდა სესიებზე განსახილველად წარსადგენი მასალების წინასწარ, თუნდაც ერთი დღით ადრე გადაცემა დეპუტატებისათვის.

ფრაქციამ მიაჩნია, რომ უზენაესი საბჭოს რეგლამენტში საჭიროა აისახოს პარლამენტების პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რომლის თანახმად უზენაესი საბჭოს ყოველი სხდომის დასასრულს უნდა დამტკიცდეს მომდევნო სხდომის დღის წესრიგის დროთადან საკითხები. პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით უზენაესი საბჭოს სხდომის თარიღის გამოცხადებასთან ერთად უნდა გამოცხადდეს დღის წესრიგიც.

გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების გამოქვეყნება „გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, „დემოკრატიული ცენტრი“ ვალდებულია განაცხადოს: თუ უზენაესი საბჭოს სესიებზე კვლავაც გაგრძელდება კანონპროექტების ასეთი წესით მიღება, ფრაქციის წევრები უფლებას იტოვებენ მოითხოვონ საკითხის განხილვის გადადება.

„დემოკრატიული ცენტრის“
სამდივნო.

საზღვარგარეთ

ჯ. ბუში: მოუთმენლად მოველი შეხვედრებს გორბაჩოვთან და ელცინთან

ვაშინგტონი, 18 ივნისი. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში კონგრესის ხელმძღვანელობის მოწვევით საშუაო ვიზიტად ჩამოდის რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ელცინი, რომელმაც ახლახან გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში.

ვიზიტის დროს, რომელიც 21 ივნისამდე გასტანს, ბ. ნ ელცინი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ბუშს, ვიცე-პრეზიდენტს დ. კუეილს, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. იგი საუბრებს გამართავს ამერიკის კონგრესის ორივე პალატის ხელმძღვანელობასთან, პროფკავშირების, სამართალდაცვითი ორგანიზაციების ლიდერებთან, მეცნიერების წარმომადგენლებთან. ვიზიტის პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე ნიუ-იორკში გამგზავრებას, არის სამუშაო შეხვედრები ამერიკის საქმიანი და ფინანსური წრეების წარმომადგენლებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ორშაბათს განაცხადა, ვესწრაფი იმას, რომ გაიმართოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაო. „უნდა მოგახსენოთ, — აღნიშნა მან ორშაბათს ქალაქ მილუოკში გამართულ სადილზე, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკელი სენატორის რობერტ კენტენის წინასაარჩევნო ფონდში სახსრების შეგროვებას, — რომ მოუთმენლად მოველი შეხვედრას გორბაჩოვთან“...

უფრო ადრე იმავე დღეს, ლოსანჯელესიდან გაფრენის წინ ჟურნალისტებთან საუბრისას, ბუშმა თქვა, რომ მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი წერილი სსრ კავშირის პრეზიდენტისაგან სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების საკითხებზე. „ჩვენ ეს პოზიტიურ პასუხად მიგვაჩნია“,-თქვა თეთრი სახლის მეთაურმა და ამასთან აღნიშნა, რომ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე ორ მხარეს შორის უთანხმოებანი შემცირდა და შეთანხმება 96 პროცენტით მზად არის.

მილუოკში გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა: „ამ კვირაში ჩვენ ვაშინგტონში მივიღებთ რუსეთის რესპუბლიკის პირველად არჩეულ მეთაურს ბორის ელცინს. მე მოუთმენლად მოველი ამ შეხვედრას“.

მიტინგი შნიპერსიტეტის მოედანზე

ბუენოსაირესში, უნივერსიტეტის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც შორშანდელი 13-15 ივნისის ამბებს მიეძღვნა. მიტინგის მონაწილეებს წაუკითხეს პროკლამაცია, რომელშიც, კერძოდ, იყო ასეთი მოთხოვნები: განახლდეს დეკემბრის რევოლუცია, რათა მივიღოთ უფლებები, რომელებისთვისაც იბრძოდნენ დეკემბრის გმირები, გადადგეს ქვეყნის ხელმძღვანელობა, საქვეყნოდ დაიგმოს ნაციონალიზმი, გაუქმდეს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, არ იქნეს რატიფიცირებული რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება. მკაცრად გაკიკრიტიკეს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციის აკრძალვას მოითხოვენ პარლამენტისაგან დემონსტრაციის მონაწილენი, რომლებიც, ამავე დროს, მხარს უჭერენ ბესარაბიისა და ბუკოვინის დაბრუნებას. გაისმა შონარქიის აღდგენის მოთხოვნაც.

მანიფესტაციის მონაწილეებს მმართა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ რესპუბლიკის, აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუმინეთის პრუტის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიათა დამოუკიდებლობას.

მიტინგის შემდეგ გაიმართა 1990 წლის 13-15 ივნისის ამბების დროს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ მწვანე ზონაში აღმართული ჯვრის კურთხევა.

საქინფორმი-მოლდოვა
პრესი

პრეზიდენტის ქვრივი

პარაღ. როგორ გინდა დიამალო ამ მოუსვენარ, ყველგან მყოფ პრესას. ვერც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედისა და ბერძენი მგზავრ გემთმფლობელს ა. ონასისის ყოფილი ქვრივი ჟაკლინ ონასის-კენედი დაემალა მას. ჟაკლინი მაინის ფრანკფურტიდან თავის მეგობართან ერთად ჩამოვიდა პრაღაში და სურდა ინკოგნიტოდ დარჩენილიყო, მაგრამ გაზეთ „მლადა ფრონტა დნესის“ და „სვობოდნესლოვოს“ კორესპოდენტებმა გათქვეს მისი საიდუმლო: იგი ჩამოვიდა როგორც ტურისტი, სასტუმრო „ალაცში“ დაიერიაა პრეზიდენტის აპარტამენტები. კორესპონდენტთან არავითარი შეხვედრები არ ჰქონია. შეუკვეთა ტაქსი და პრაღის დასათვალიერებლად გაემართა. კარლოვის ხიდზეც გაიელვა მისმა ფიგურამ. სასტუმროს ადმინისტრაციამ ყოველი შემთხვევისათვის მოიმარაგა წითელი ვარდების თაიგული და ადგილი დაიკავა მისთვის რესტორანში სავახშმოდ.

ჟაკლინის პრაღაში ყოფნის პროგრამის შესახებ არაფერია ცნობილი. მან მისახვედრად თქვა, რომ სასტუმროში ორშაბათამდე დაპყოფს. ჟაკლინს იცავს სამი დეტექტივი: მიუხედავად იმისა, რომ დრო გადის პრეზიდენტის ქვრივის მიმართ ინტერესი არ ნელდება.

ლამაზი პოლონელი ქალი

ვარშავა. პოლონეთის ყველაზე ლამაზი ქალიშვილის ტიტული მიენიჭა 19 წლის კარინა ვოიჩეხოვსკას. მან გაიმარჯვა ტრადიციულ კონკურსში „მის პოლონია-91“.

პანა კარინა მუშაობს კატოვიცეში საბითუმო ვაჭრობის ცენტრის მდივნად. აინტერესებს ინფორმატიკა, გატაცებულია საესტრადო მუსიკით და საცეხვნისნო სპორტით. მისი სიმაღლეა 172 სანტიმეტრი.

პრეტენდენტთა შორის კ. ვოიჩეხოვსკა გამოირჩეოდა ძალდაუტანებელი მიმოხვრით, ბუნებრივი მანერებით. „მის პოლონია-91“-მა მიიღო ავტომობილი „პეჟო-605“, ფერადი ტელევიზორი, აგრეთვე წლის განმავლობაში უფასო კოსმეტიკური მომსახურების უფლება.

ცნობები გალტიისპირეთიდან

გისურვებთ სიმტკიცეს, გამძლეობას

რიგა. ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ ძლიერი მიწისძვრა მოხდა საქართველოში და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ მოძმე რესპუბლიკის ხალხს.

საქინფორმის რიგის კორესპუნქტში მოვიდა ლატვიის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, საინფორმაციო საააგენტო ლეტას დირექტორი აივარს ბაუმანისი, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა თბილისიდან, სადაც ხელი მოაწერეს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის წამყვანი საააგენტოების გამაერთიანებელი ბალტიის საინფორმაციო პულის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საინფორმაციო საააგენტოს საქინფორმის თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

— თავად ვიხილე, — თქვა მან, თუ როგორ განიცდის ქართველი ხალხი 29 აპრილის ტრაგედიის შედეგებს, როცა გამძვინვარებულმა სტიქიამ ათასობით მცხოვრებს ტანჯვა-ვაება მოუტანა. ვნახე, თუ რაოდენ მწვავედ განიცდის მომხდარ სამბავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელმაც თავაზიანად მიგვიღო. მართლაც რომ რამდენი გასაჭირი დაატყდა თავს ამ მშვენიერ მხარეს... და აი, ახალი უბედურება. დარწმუნებული ვარ, საქართველო ამჯერადაც ვაჟკაცურად გაუძლებს ამ განსაცდელს.

ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ანდრის გუტმანისმა თქვა, რომ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთ ადრე გაწეული დახმარების გარდა, დამატებით გაუგზავნიან მედიკამენტებს, ტანსაცმელს და კარვებს. დაიწყო სახსრების შეგროვება ლატვიის მერად კოსტავას სახელობის საქართველოს საზოგადოებაში, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დაზარალებულთა დასახმარებლად.

ვილნიუსი. ლიტვაში გრძელდება მუშაობა აქ დაპროექტებული და დამზადებული ფარებისაგან ასაწყობი სახლები საქართველოში გასაგზავნად, რომლებიც განკუთვნილია საქართველოს უსახლკაროდ დარჩენილ მცხოვრებთათვის. საინფორმაციო საააგენტო ელტას დირექტორი ვიდმანტას პუტელისი, რომელიც მონაწილეობდა ბალტიისა და საქინფორმის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადებაში, თავისი ქართველი კოლეგის არჩილ მანჯგალაძის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში წერს: „ელტას მთელი კოლექტივი უდიდეს თანაგრძნობას გიცხადებთ ახალ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც თავს ტალტყდა საქართველოს. გვესმის, რომ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ თქვენს ხალხს ახალი განსაცდელის გადატანა ხვდა წილად. გისურვებთ ვაჟკაცობას, სიმტკიცეს, დამოუკიდებლობას“.

გენადი დემეტრაშვილი,
საქინფორმის საკუთარი კორ.

რამდენიმე სტრიქონით

ბერლინი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის შეხვედრამ უნდა განმტკიცოს უშიშროება და დემოკრატია კონტინენტზე. ეს ბერლინში ჟურნალისტებს გაუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა. მან აღნიშნა, რომ თავიანთი ორიდღიანი სხდომის დამთავრების შემდეგ მინისტრებს განზრახული აქვთ მოკლე შეფასება მისცენ მის შედეგებს.

ამ შეფასებამ, ჯ. ბეიკერის თქმით, უნდა გვიჩვენოს ევროპაში უშიშროების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცების გზები, მინისტრები აპირებენ აგრეთვე შეაფასონ კონტინენტზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივა და მნიშვნელოვანი აქცენტები დაუსვან ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომავალ საქმიანობას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა შემდეგ აღნიშნა, რომ ბერლინის ფორუმისაგან მოელის ინტენსიური დისკუსიას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში ალბანეთის მონაწილეობის და იუგოსლავიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ბრიუსელი. ლუქსემბურგში მიმდინარე ევროპის გაერთიანების სამჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონის სესიის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რაც შეიძლება სწრაფად გაუწიონ დამატებითი დახმარება ერაყის ქურთ და შიიტ მოსახლეობას. ითქვა, რომ განზრახული აქვთ ამ მიზნით კონტაქტები დაამყარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოსახლეობის ამ ჯგუფებისადმი „მოთხოვნილებებისა და დახმარების ხასიათის გამოსარკვევად“. ეს ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟაკ პოოსმა, რომელიც ამჟამად თავმჯდომარეობდა ევროპის გაერთიანების საბჭოში.

ამავე დროს სესიის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციების შენარჩუნებას.

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ხმების უმრავლესობით უარყო მთავრობისადმი უნდობლობის შესახებ რეზოლუციის პროექტი. უნდობლობას ხმა მისცა 265 დეპუტატმა, მაშინ როცა რეზოლუციის მიღებისათვის საჭირო იყო 289 ხმის უმრავლესობა.

რეზოლუციის პროექტი დეპუტატთა განსახილველად გამოიტანეს მემარჯვენე და ცენტრისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მას შემდეგ, რაც ედიტ კრესონის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აპირებს მომართოს საფრანგეთის კონსტიტუციის 49 მუხლს და სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვის ღონისძიებათა შესახებ მის მიერ შეფთავაზებული კანონპროექტის მიღება დაუკავშიროს ნდობის საკითხს. კონსტიტუციის ეს მუხლი, რომელიც არცთუ ისე პოპულარულია აქ, საშუალებას აძლევს მთავრობას, თუ საჭირო გახდა, გაიყვანოს თავისი კანონპროექტები პარლამენტში კამათის გაუმართავად, ამ შესაძლებლობით ისარგებლა — პირველად თავის პრაქტიკაში — კრესონის ახლახან შექმნილმა ახალმა მთავრობამ: იგი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებს მხარს დაუჭერდა დეპუტატთა უმრავლესობა. მემარჯვენე სოციალისტურ პარტიას არა აქვს აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტის ქვედა პალატაში.

ბაარო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელარმა გაუგზავნა მოხსენება უშიშროების სამჭოს, რომელშიც ნათქვამია, რომ ერაყსა და ქუვეითში სრულად გაიშალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისია. 33 ქვეყნის 299, მათ შორის სსრ კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების 20-20 სამხედრო მეთვალყურე აკონტროლებს ორი ქვეყნის საზღვარზე შექმნილ დემილიტარიზებულ ზონას, რომელიც გადაჭიმულია 10 კილომეტრზე ერაყის სიღრმეში და 5 კილომეტრზე ქუვეითის სიღრმეში. ზონა დაყოფილია სამ სექტორად, რომლებშიც ექვსექვსი სამეთვალყურეო საგუშაგოა. ამ საგუშაგოების დამატებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისია ქმნის მობილურ პატრულებს, აგრეთვე ჯგუფებს ინციდენტებისა და ორი ქვეყნის ურთიერთბრალდებების გამოსაძიებლად. ზონას აკონტროლებენ აგრეთვე ციდან. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით სამხრეთი სექტორი, მოფენილია აუფეთქებელი საბრძოლო მასალებითა და ნაღმებით. მოძრაობა იქ ძალზე შეზღუდულია.

სოფია. ეკონომიკური, ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის ორმხრივი კომისიები იმოქმედებენ მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ბულგარეთს ხელმოწერილი აქვს სამთავრობათშორისო შეთანხმებანი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ბულგარეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელზეც განხილეს შერეული სამთავრობათშორისო კომისიების რიცხვის 65-დან 45-მდე შემცირების საკითხი.

დარჩენილი კომისიები გამართავენ სესიებს ბულგარეთის საგარეო-ეკონომიკური და საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების მიხედვით. მაგალითად, პირველ ჯგუფში, რომლის მონაწილეებთან სესიები ყოველწლიურად გაიმართება, შეუვანილია ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მთელი რიგი ქვეყნები, სსრ კავშირი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, უნგრეთი და პოლონეთი. იქვე წარმოდგენილია ბალკანეთის ყველა ქვეყანა, ალბანეთის გარდა. მეორე ჯგუფს შეადგენენ ორმხრივი კომისიები ქვეყნებთან, რომლებთანაც ბულგარეთს აქვს ტრადიციული, მაგრამ არაადეკვატური სავაჭრო კავშირურთიერთობა. სესიები ორ-სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება.

მეხიკო. მექსიკის ქალაქ კუერნავაკაში დაიწყო მთავრობისა და გვატემალის შეამბრნეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების მეორე რაუნდი, რომლის დროსაც განიხილავენ ცენტრალური ამერიკის ამქვეყანაში ოცდაათწლიანი შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგების გზებს.

მხატვრობა

სერიოზული განაცხადი

თანამედროვე მხატვრობა, მით უმეტეს ულტრათანამედროვე ავანგარდი მრავალსახოვანი მოვლენაა, მისი სიტყვიერი, კონკრეტული განსაზღვრა, ფაქტობრივად ეროულეს საქმეს წარმოადგენს, თუმცა მას გააჩნია უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული იკონოლოგიური სისტემა, თავისი საკმაოდ მკაცრი თეორიული და თუნდაც იდეოლოგიური საფუძველი. ეს იდეოლოგია პირველ რიგში გულისხმობს ადამიანს, მის სუბიექტურ არსს, მის განუმეორებელ ფენომენოლოგიას, რომელიც მოსწყდა ესთეტიკის ტრადიციულ ფილოკალურ განცდას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეძებს ახალი ჰარმონიის ტონებს, ითვალისწინებს თვითრეალიზების ინდივიდუალურ საშუალებებს, ითვალისწინებს იმ ფაქტორთ შესაძლებლობათა არსენალს, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების რესურსული შესაძლებლობები იძლევა, ხოლო რესურსები ავანგარდული იკონოგრაფიის ძირითადი . მამოძრავებელი სტიმულებია; მასალა, ნივთი- საგანი, ნიშანი, თვით მასტრუქტურებელი ელემენტები, გამოსახვის ან ზედვის ობიექტური თუ ვიზუალური საშუალებები, თვით მისი შემადგენელი ელემენტები, ახალი ტექნოლოგიები, აი ის ყველაფერი თითქმის, რაც ქმნის თანამედროვე ხელოვნების რესურსულ საფუძველს, იკონოგრაფის ფუძეს, მის თეორიულ ბაზას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვით მასალა იღებს თავის თავზე ძირითადად მხატვრულ-გამომსახველობით, განმაზოგადებელ ფუნქციებს, იგი თვით ხდება თავისივე თავის თვითგამომხატველი, თვითრეალიზების საშუალება.

სწორედ ამ მიმართების მხატვრობად მესახება შესანიშნავი მხატვრის თემო ჯავახიშვილის ხელოვნება. ეს არის თანამედროვე მხატვრობა, სწორედ მხატვრობა თანამედროვე ფორთო კონტექსტულაური გაგებით, ინტუიციური უფაქიზესი მიგნებებით, არქეტიპული ხატებებით, მასალა სიმბოლოებით, რუსურსული ხელოვნების ყველა საკუთარი ნიშნით, რომელიც მასალათა, ნივთიერებათა და ფაქტურა-ტექსტურათა, თითქმის ალქიმიურ ურთიერთკონტაქტს გულისხმობს.

ამაგე ლოგის ყოველივე ამას ემატება ძალზე მნიშვნელოვანი რამდენიმე ელემენტი. ეს გახლავთ ნამუშევრის ვიზუალური იერგლიფირება და მისი სიტყვისმიერობა.

საერთოდ, თანამედროვე ხელოვნების იკონოლოგიური თვითგანვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვლება არსებული ნამუშევრის, ვთქვათ ობიექტის ან ინსტალაციის, თუნდაც ტრანსავანგარდული ფერწერული ტილოს სიტყვაში, მსჯელობსმიერი განვითარების აუცილებლობა. ე. ი. თანამედროვე სახვითი ნიმუში უნდა ემორჩილებოდეს სიტყვით ინტერპრეტაციას, მასში ე. ი. სიტყვაში ლოგიკურად უნდა გრძელდებოდეს როგორც გამომსახველობითი ჩანაფიქრის ლოგიკური განვითარება.

თემო ჯავახიშვილის ნამუშევრები სიტყვიერ ინტერპრეტაციას ემორჩილება და ამდენად ორგანულად ერწყმის იმ საბოლოო მხატვრულ სახეს, რომელსაც ნამუშევარი თვითონვე გამოხატავს — ეს იქნება ვიზუალური იერიგლიფი თუ თვით ასო-ნიშანი: ნამუშევარი თავისუფლად გრძელდება სიტყვის სახით ე. ი. თემოს ნამუშევრი მხატვრის აზრობრივი თვითჩაღრმავებით, თვითკვლევის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

თემო ჯავახიშვილის ხელოვნება, მისი ობიექტ-სურათთა უმეტესობა, ჩვენში ნაკლებად გავრცელებული მიმართულების ერთადერთ წარმოჩენად უნდა ჩაითვალოს, ეს გახლავთ „ლეტრიზმი“.

„ლეტრიზმი“ — ფრანგული სიტყვიდან — ბგერა, ასონიშნიდან მომდინარეობს და პირდაპირ თარგმანით ალბათ „დამწერლობითობას“ უნდა ნიშნავდეს. სწორედ ეს ლეტრისტული მეთოდი არის თემო ჯავახიშვილის ძიებების ბოლო პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, სწორედ ეს სიტყვისმიერი ინტერპრეტირების შესაძლებლობა ამ ასობგერათა, ნიშანთა ამოუცნობ ოდუმალებაში იღებს სათავეს, რომელიც ორგანულ მთლიანობაში გახლავთ ფაქტურა-ტექსტურის ბრუტალურ შესაძლებლობებთან, ამ ფაქტურის დაუოკებელ მრავალფეროვნებებთან.

ლეტრისტული მეთოდი თემოსთან იერიგლიფსაც ნიშნავს, ციფრსაც, უცნობ ასონიშანსაც, ამავე დროს ტოტემური გამოსახულების შორეული მინიშნებაც არის, რომელიც დამღასავით ნაჭედავად იბეჭდება მყარ ზედაპირზე და მრავალფეროვანი ასოციაციების, თუნდაც ისტორიულ-არქაული განცდების მთელ კასკადს იწვევს. სასურათე სიბრტყე ავსებულა ამ ასო ნიშანთა, ტოტემიერიგლიფთა დინამიკური დენადობით. ამავე დროს ჩნდება ინსტალაციური ელემენტი, როგორც სივრცეში დადგმული სანახაობა, ობიექტთა კონსტრუქტიული მთლიანობა, ამ შემთხვევაშიც ინსტალაცია შაგიური იდუმალებით მოიცავება და სივრცეს თითქმის რიტუალურ მნიშვნელობას აძლევს. მკაცრ ევკლიდურ გეომეტრიზმს, თამამად არღვევს სინათლისა და მოცულობრივ-ჰორიზონტალური ელემენტების ფართო გამოყენება. აქ სინთეზში იკრიბება ადამიანის განცდათა, ფიზიკურ შეგრძნებათა მთელი გამა, იქნება ეს ბგერა-ყოერადობა, ფერი-სინათლე თუ თუნდაც შეხების უფაქიზესი გრძნობები.

მიუხედავად სიახლისა და არაორდინალურობისა, თემო ჯავახ

ვინ ვინ არის

ქამელეონი

70-იან წლებში მოსკოვში საგარეთალდაცვითს მოძრაობაში მონაწილეობდა ფიზიკოსი ვალერი ჭალიძე, წარმომობით ქართველი, რომელიც აირწმუნებდა საქართველოს ეროვნული და სამართალდაცვითი მოძრაობის წარმომადგენლებს თავის მხარდაჭერაში. მართლაც, როცა ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა დაპატიმრებული იყვნენ, მან, ამერიკაში ემიგრაციაში მყოფმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გიუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

ვ. ჭალიძის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ვალდჰაიმს

დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო!

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ თბილისში გამართულ გრადიოზულ დემონსტრაციას ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად. ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე, და მის კულტურას უნდა იცავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მე აგრეთვე მივაპყრობ თქვენს ყურადღებას იმის საშიშროებას, რომ დევნას დაუწყებენ იმათ, ვინც დემონსტრაციაში მონაწილეობდა. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ საქართველო ახლა ჩაკეტილია უცხოელ კორესპონდენტთა ვიზიტებისათვის.

გაერთიანებულ ერებს არაერთგზის გამოუცხადა უსასურობა დიდი სახელმწიფოების წინაშე, როცა საქმე ენება ადამიანის უფლებების დაცვას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. გამოიჩენს თუ არა იგი უსასურობის ახლა, როცა საქმე ეხება ერის უფლებების დაცვას, თუმცა იგი არ არის წარმოდგენილი გაერთიანებულ ერებში.

მოგიწოდებთ თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, ჭეროვანი გაგებით მიეკიდოთ ამ პრობლემის სერიოზულობას და დაეხმაროთ ქართველი ერის იმ უფლებების დაცვას, რომ სარგებლობდეს თავისი ენით ცხოვრების ყველა სფეროში. მიუხედავად იმისა, დათანხმდებიან თუ არა სსრ კავშირის ხელისუფალნი ფორმალურ მაღალი შეფასება მისცა ზ. გამსახურდიას, ამჟამად 180 გრადუსით შემობრუნდა და ყოველნაირად ლაფს ასხამს ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ხოლო მის ლიდერს ლამის დიქტატორად აცხადებს. ამ საიდუმლოს ამოცნობამ დაგვეხმარება გამოჩენილი რუსი მწერალი ა. სოლჟენიცინი, რომელიც შემდეგნაირად ახასიათებს ვ. ჭალიძეს და მის ხერხს, რომლის წყალობითაც იგი საზღვარგარეთ აღმოჩნდა სწორედ იმ დროს, როცა აქტიურად მოღვაწეობდა ა. სახაროვის მიერ დაარსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.

«Сперва он (Чалидзе) выпускал скучнейший самиздатский юридический журнал. Затем изобрел Комитет защиты прав человека, с обязательным участием Сахарова, но с хитро составленным уставом, дающим Чалидзе парировать в Комитете всякую иную волю.

...В этот Комитет и вложил Сахаров много своего времени и сил, размазываемый утененными прениями, исследованиями и оговорками Чалидзе — там, где нужно было действовать.. Холодно-рациональным торможением Чалидзе остановил и испортил достаточно начинаний Комитета, который мог бы сыграть в нашем общественном развитии значительно большую роль. С какого-то момента «утомясь» от защиты прав человека, главный вдохновитель Комитета решил переехать за океан. Самый последний наивец согласится, что для получения визы на выезд за границу читать лекции о правах человека в СССР — не обойтись без разработанной уговоренности с КГБ, которая не достигается единократной встречей, — и это будучи членом Комитета». (Солженицын «Бодал теленок ступом», ст. 399, 400).

ასე რომ. ამჟამად, ვ. ჭალიძე თავდაპირველად აქებდა ზ. გამსახურდიას, რათა მოეპოვებინა ამერიკის საზოგადოებრიობის ნდობა, და როგორც კი ამ ნდობის მოპოვება მოახერხა, ახლა ლაფს ასხამს ქართულ დემოკრატიულ მოძრაობას და მის ლიდერს, და ამით იმავე შეკვეთას ასრულებს.

ამიტომ ამ ადამიანის მხრივ ზოტბასა და ცილისწამებას ერთი ფასი აქვს, რომელიც ზოგიერთი ჩვენი ვაი-ემიგრანტის ზნეობრივ სახესაც განსაზღვრავს. ა. სოლჟენიცინის გამონათქვამების მიხედვით, რომლებსაც სერიოზული საფუძველი აქვს, დაეჭვდეს, ნომ არ განეკუთვნება ჭალიძე იმ პირთა კომპანიას, რომლებიც თავდაპირველად „ჩანერგეს" სამართალდაცვითს დემოკრატიულ მოძრაობაში, ხოლო შემდეგ სამუშაოდ გაგზავნეს საზღვარგარეთ ერთმა და იმავე კარგად ცნობილმა სამსახურებმა?

ფოტორეპორტაჟი

ნორჩთა „მხიარული სტარტები"

რამდენი გამომგონებლობა, ნრთობა, მოხერხება და მოქნილობა გამოავლინეს მოძრაობაში ამ სიმპათიურმა პატარებმა, რომლებიც „მხიარულ სტარტებში" მონაწილეობდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რკინიგზის № 1 ხავშვთა ბაგა-ბაღისა და ქალაქის № 11 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები. შეჯიბრების პროგრამაში იყო არა მარტო სპორტული ვარჯიშები, არამედ მხატვრული ნომრებიც, ვიქტორინა საზრიანობაში და თემატიკური კონკურსი დევიზით „საქართველოო, ლამაზო".

შეჯიბრებამ პატარებს საშუალება მისცა ეჩვენებინათ თავიანთი სპორტული მომზადება, გამოემჟღავნებინათ საზრიანობა, ემღერათ, ეცეკვათ და წაეკითხათ თავიანთი საყვარელი პოეტების ლექსები.

და ყოველივე ეს მიმდინარეობდა თბილისში ვერის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. დარბაზი, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, მორთული იყო ყვავილებით, მცენარეების ორიგინალური ფერადოვანი კომპოზიციებით, ყველა ეს დეკორატიული მორთულობა შექმნა ქართული იკებანას ოსტატმა, მხატვარმა დეკორატორმა მზია გელდაგამ. დარბაზის გაფორმებაში მას ეხმარებოდნენ წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, რომელთაც იგი უსასყიდლოდ ასწავლის ამ შესანიშნავ ხელოვნებას.

გემოვნებით გაფორმებულ დარბაზში ბავშვები ხალისიანი განწყობილებით გამოდიოდნენ. ყოველი წარმატებული „წმმოსვლისათვის პატარებს ქულები ეწერებოდათ.

შეჯიბრება დამთავრდა რკინიგზის № 1 სახავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა გამარჯვებით.

სურათებზე: ქოლგით ცეკვავს რუსუდან ახალაძე; გამარჯვების სიხარული; ჯილდოები გამარჯვებულთათვის.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოკორონიკა).

ცივი ომი საქართველოს წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირი — „ბოროტების იმპერია", როგორც თავის დროზე უწოდა ამ ქვეყანას რ. რეიგანმა, უკანასკნელ დღეებს ითვლის. „გარდაქმნამ", რომელიც მ. გორბაჩოვმა ექვსი წლის წინათ წამოიწყო, გვიჩვენა, რომ „საბჭოთა საერთო სახლის" გარდაქმნა შეუძლებელია: დალაპა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საძირკველი, ჩამოიტანა კედელი — იკონომიკური განვითარების პროგრამები (მათ შორის სასურსათო პროგრამაც), გაამყარა ძირი — სულიერიც და კულტურულიც. ამ „სახლის" გენერალური გარდაქმნა ითანავეთ შეუძლებელი იყო, რადგან რევოლუციის მამამთავრებმა შენობის საძირკველად განსაზღვრეს იდეოლოგია — კომუნისტური საზოგადოების აშენების უტოპიური მოძღვრება.

ლენინს რუსეთის რევოლუციამ მიაჩნდა ახალი ეპოქის გარიჟრაჟად. იმ დროს გავრცელებული გულუბრყვილო წარმოდგენების თანახმად, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი უნდა აღმდგარიყო კაპიტალისტების წინააღმდეგ, დაემხო „ექსპლოატატორთა" კლასი და დაეყარებინა „შუშათა და გლეხთა" ბატონობა, ვინც იყო „არაფერი", უნდა გამხდარიყო „ყველაფერი". საინტერესოა, რომ მარქსისზმ-ლენინიზმი, რომელიც აყენებდა უტოპიურ ლოზუნგებს, სულაც არ იყო მოკლებული ცალკეულ საქმიან რჩევა-დარიგებებს, როგორიც არის, მაგალითად, „პრაქტიკა ბეშმარიტების „კრიტერიუმია", მაგრამ რა გვიჩვენა საბჭოთა კავშირში სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის პრაქტიკამ? ოცდაათიანი წლების შუახანებში ცალინმა გამოაცხადა, სოციალიზმი საბჭოთა კავშირში უკვე აშენებულიაო. „სოციალიზმის" გამარჯვება სსრ კავშირში გამოცხადებული იყო იმ წლებში, როცა მილიონობით ადამიანს რეპრესიები დაატეხეს თავს, ხრუშჩოვი „კომუნიზმის" გამარჯვებას დაგვპირდა 80-იან წლებში, მაშინ „პარტიამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ „საბჭოთა ადამიანების ახალშენი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში". ხრუშჩოვმა ისე დაანგრია საბჭოთა ეკონომიკა, რომ გაჩნდა პურის რიგები. ბრეჟნევი — მსოფლიო ცივი ომის მამამთავარი — ისე ებრძოდა „იმპერიალიზმს" (ისე უწოდებდნენ დასავლეთის ქვეყნებს) ყველა კონტინენტზე, ლამის მსოფლიო ომამდე მიიყვანა საქმე, საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის ჩვენ ავაშენეთ „განვითარებული სოციალიზმი".

ამრიგად, სსრ კავშირში სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის პრაქტიკას მოჰყვა ის, რომ პროლეტარიატი (დაბეჩავებული მშრომელი ადამიანი) დარჩა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, ინდუსტრიული თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყნებში პროლეტარიატი არ არსებობს, არის დიდხელფასიანი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ — ს. ჯორბაჩოვის ერთ-ერთმა თანამებრძოლმა „გარდაქმნაში" — კოლოსალური ძალისხმევა მოახმარა იმას, რომ „შეეგობარა" საბჭოთა სახლი გარედან და ამაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: გარეგნულად „საბჭოთა საერთო საცხოვრებელი" ამერიკელთა და ევროპელთა თვალში სავსებით თანამედროვედ გამოიყურება.

სწორედ შევარდნაძის ძალისხმევით „ცივი ომი" დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თანდათანობით ნელდებოდა. ახორციელებდა რა გორბაჩოვის საგარეო-პოლიტიკურ გეზს, სსრ კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გლობალური კონფრონტაციის შეცვლას კონსტრუქციული დიალოგით. რით დაასრულა თავისი პოლიტიკური კარიერა ე. შევარდნაძემ, ყველამ ვიცით: იგი გადადგა იმპერიული მილიტარისტული ძალების ზეგავლენით და გაგვაფრთხილა. დიქტატურის საფრთხე იქმნებაო. პარტიულ-საბჭოთა ოლიგარქიამ ახლა გამოუცხადა „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა" (1917 წლის ოქტომბრისდროინდელი რევოლუციური სიმღერის სიტყვები) ელცინს და მის წინააღმდეგ ხუთი კანდიდატი დასახელა. „ბოროტების იმპერიის" ძალები ჯერ კიდევ არ გადაშენებულან საბჭოთა კავშირში, ისინი „წესრიგის" დამყარებით ოცნებობენ ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებაზე. სიმბოლურია, მოსკოვში, სპატერიარჭო ტაძარში მოგდელმა ლოცვა აღუვლინა ლმერთს და შესთხოვა რუსეთში პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებისოს ელცინს, უსურვა მას მაგალის ერთი დარტყმით განგმიროს „ბუთთაგიანი ურჩხული".

„ცივი ომის" წლებში საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საბჭოთა საზოგადოების ყველა უბედურება დაბრალეს „გარეშე მტერს" — ამერიკის იმპერიალიზმს, დასავლეთის ქვეყნებს. „გარდაქმნის" წლებში „გარეშე მტრის" სახელ დაკარგა თავისი მიმზიდველობა, მილიონობით საბჭოთა ადამიანმა შეიგნო, სახელდობრ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური გაღატაკებისათვის, ახლა იმპერიული, მძლიტარისტული ძალები ეძებენ პოლიტიკური და ეკონომიკური „კრიზისის დამნაშავეებს ქვეყნის შიგნით — „მტრებად" ორიან ფამოცხადებული რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა, ბალტიისპირეთის, საქართველოს, მოლდოვეთის, სომხეთის რესპუბლიკები. საბჭოთა კავშირში დესტაბილიზაციის მიზეზად აცხადებენ „სეპარატულ ძალებს", ესე იგი იმ რესპუბლიკებს, რომლებიც დემოკრატიისა და თავისუფლების გზას დაადგნენ, ადამიანებს გორბაჩოვის უახლოესი გარემოცვიდან, რომლებსაც საბჭოთა ლიდერი ექვსი წლის მანძილზე წარუმატებლად პოულობდნენ „ახალი ბრძოლებისათვის" და ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირი გულისხმობს „ერთიან, განუყოფელ. რუსეთს". სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს ისევ და ისევ იმ „ტოტალიტარულ რეჟიმს", რომელიც საბჭოთა კავშირის არარუსულენოვანი მოსახლეობისათვის არა მარტო დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, არამედ ეროვნული უუფლებობის, ესე იგი კოლონიური რეჟიმის განგრძობა.

ამჟამად იმპერიული ძალები აწარმოებენ „ცივ ომს" ჩვენი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგაც. მე ვამტკიცებ, რომ საქართველო თავის დემოკრატიულ განვითარებაში მნიშვნელოვანწილად უსწრებს წინ სხვა რესპუბლიკებს: ჩვენთან, მაგალითად, ითხოვდნენ რეგისტრაციას და ოფიციალურად ცნეს პოლიტიკური პარტიები (რუსეთში კი ეს პროცესი მხოლოდ ახლა იწყება); საბჭოთა კავშირში პირველად მოეწყო პარლამენტის თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნები, ალბეთელ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ორგანიზაცია — პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის ნაცვლად პროვინციებში შეიქმნა ხელისუფლების არჩეული, და არა დანიშნული, ორგანოები — „საკრებულოები", წარმატებით ფუნქციონირებს პრეფექტთა ინსტიტუტი, გაიმართა პრეზიდენტის თავისუფალი საყოველთაო-სახალხო არჩევნები, რუსეთში კი ეს არჩევნები ეს-ეს ორის დამთავრდა, ხოლო სხვა რესპუბლიკებში მხოლოდ ახლა ამორჩევენ პორტფოლიოს ლეგალიზაციას, სარლამენტისა და მუნიციპალური საბჭოების თავისუფალი არჩევნების მოწყობას, მთელი ხალხის მიერ პრეზიდენტის. არჩევას.

საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დასავლეთ მჭიხველს არაფერს არ ეუბნებიან ამაზე, პირიქით, სურთ აფერეკელეს და ევროპელ მკითხველს ჩააგონონ, თითქოს სწორედ საქართველოში ირღვევიან დემოკრატიული თავისუფლებანი, ხოლო ადამიანს უფლებებისათვის ცნობილი მებრძოლი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ლამის დიქტატორად წარმოადგინონ. საზღვარგარეთელი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება შეიტყოს, რომ „დიქტატორი" ზ. გამსახურდია, რომელიც უკვე იყო პარლამენტის მიერ პრეზიდენტად არჩეული, თვითონ მოგვევლინა პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნების ინიციატორად. მსოფლიოს უახლეს ისტორიას არ ახსოვს იმის პრეცედენტი, რომ რომელიმე დიქტატორს დაესვას საყოველთაო-სახალხო, დემოკრატიული არჩევნების საკითხი. საბჭოთა საშუალებანი არა მასობრივი ინფორმაციით, არამედ დეზინფორმაციით, მთელი რიგი ქედმოუხრელი რესპუბლიკების წინააღმდეგ „ცივი ომის" ფარგლებში არ თაკლობენ არავითარ საშუალებებს: ეს არის ახალი ამბების საგენტოს და საკავშირო ტელევიზიის „დეტალი" გუდავაზე: 1987 წლის თებერვალში, ჯერ კიდევ მაშინ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავჯდომარემ ინაურმა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს მიმართა შუამდგომლობით პატიმარ გუდავას შეწყალების შესახებ, რომელსაც მისჯილი აქვს შვიდი წლის თავისუფლების აღკვეთა და სამი წლით გადასახლება. „შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სანიმუშო ქცევისათვის" გუდავა გაათავისუფლეს შემდგომი სასჯელის მოხდისაგან. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუდავას მსჯავრი დასდეს 1986 წლის ივნისში, ხოლო გათავისუფლეს 1987 წლის აპრილში, ამასთანა რა „სანიმუშო ქცევა" უნდა გამოეჩინა, რომ 10 წლის სასჯელი შეეკვლათ 10 თვის სასჯელად? ახლა გუდავა „სანიმუშო ქცევით" გამოირჩევა რადიოსადგურ „თავისუფლებაში". საინტერესოა, რამდენი წლით არის გათვალისწინებული მისი საზღვარგარეთ მავლინება?

საქართველოს წინააღმდეგ „ცივი ომის" მონაწილეებმა უნდა აცადნენ, რომ ჩვენი ხელიხელჩაკიდებული დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობანი გარდუვალად გიმარჯვებენ, ხოლო „დეჰირავებულ ქართველებს" და მათს პატრონებს ადარ თუ გვიან საზოგადოებრიობა მოჰკითხავს, როგორც, სხვათა შორის, დაემართა გუდავას, რიცა 2 ივნისს ნიუ-იორკში ქართველთა თემის კრებიდან გაამეევეს.

პიორგი ბურჯანაძე.

სპორტი

უმაღლესი ჯგუფი

14 და 17 ივნისს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XVII და გამოტოვებული X ტურის შეხვედრები. XVII ტური სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა. ორი შეხვედრა ქუთაისის „ეუფოისმა", რომელიც საპრიზო ადგილისათვის იბრძვის, გასვლით შეხვედრაში წყალტუბოში „სამგურალი" დაამარცხა — 5:2. გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთმა პრიზორმალანჩხუთის „გურიამაც". მან თბილისში ადგილობრივ „შევარდენი—1906"-ს სძლია — 1:0. ამ ტურში დიდი ანგარიშით — 4:0 გაამარჯვა ოზურგეთის „მერცხალმა", რომელმაც დებიუტანტს გურჯაანის „ალაზანს" სძლია.

ამ ტურში მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაფიქსირდა ფრე, ხობის „ცოლხეთმა" თავის მინდორზე 3:3 ითამაშა სოხუმის „ცხუმთან". აღსანიშნავი „ცხუმის" ფეხბურთელთა შემართება. ისინი მატჩს სამი ბურთის სხვაობით აგებდნენ, მაგრამ შეძლეს თითქოსდა უიმედო მატჩის გადარჩენა და თამაში ფრედ დაამთავრეს.

დაბაზოლად წარიმართა მატჩი მეზობელი რაიონების ვანისა და ზესტაფონის გუნდებს შორის. აქ „სულორმა" 1:0 დაამარცხა „მარგვეთი".

ასევე მინიმალური ანგარიშით— 2:1 მოიგო მატჩი ხაშურის „იეფრიამ". ამ დღეს მან საკუთარ მინდორზე რუსთავის „გორდას" სძლია. ამ ტურის სხვა მატჩები: „სანავარდო" (სამტრედია) — „ბათუმი" (ბათუმი) — 1:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „იბერია" (თბილისი) 0:0, „მზიური" (გალი) — „კოლხეთი — 1913" (ფოთი) 2:0.

17 ივნისს X ტურის გამოტოვებული მატჩები გაიმართა. მათი ანგარიშია „ალაზანი" (გურჯაანი) — „იეფრია" (ხაშური) 2:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მზიური" (გალი) 4:3, „სულორი". (ვანი) — „სანავარდო" (სამტრედია) 6:2, „მარგვეთი" (ზესტაფონი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:2, „იბერია" (თბილისი) — „დილა" (გორი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 2:0, „გორდა" (რუსთავი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 2:0, „ქუთაისი" (ქუთაისი) — „ცხუმი" (სოხუმი) — 1:2, „კოლხეთი (1913 ფოთი) — „ბათუმი" (ბათუმი) 1:0, „შევარდენი —1906" (თბილისი) — სამგურალი" — (წყალტუბო) 1:1.

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა XVIII ტურის მატჩი 21 ივნისს გაიმართება.

სხვადასხვა

ძლიერი კოკისპირული ნვიმამბი აღმოსავლეთ საქართველოში

16 ივნისს თბილისმა დაამყარა წლის თავისებური რეკორდი კოკისპირული წვიმების სახით მოსული ნალექების რაოდენობით. ერთ დღე-ღამეში მათ შედგინეს თვიური ნორმის ნახევარი — 36 მილიმეტრი 72-დან.

მძლავრი კოკისპირული წვიმები მოვიდა ამავე დღეს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებშიც, მაგალითად, ბარდიანში ერთ დღე-ღამეში მოვიდა 37 მილიმეტრი ნალექი ამ რეგიონისათვის ერთ თვეში „დაწეესებული" 61 მილიმეტრიდან, ხოლო თელავში — 46 მილიმეტრი 106-დან. ძლიერმა წვიმებმა გვერდი არ აუარა კავკასიონის მთისწინეთსაც. მაგალითად, დუშეთში ერთ დღეში მოვიდა ნალექების თვიური ნორმის დაახლოებით მეოთხედი.

— აღმოსავლეთ საქართველოში ძლიერი კოკისპირული წვიმების მიზეზი გახდა ჩრდილო-დასავლეთიდან მის ტერიტორიაზე შეჭრილი ჰაერის ცივი ნაკადები, — უთხრა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტის კოტე ცხომელიძეს რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური ბიუროს მეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალეკსიშვილმა. — ამჟერად სტიქიამ გვერდი აუარა დასავლეთ საქართველოს რაიონებს და თავისი ძირითადი „დარტყმა" მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს, მაგალითად, თუ აქ 15 ივნისს ჰაერის ტემპერატურა აღწევდა 25-30 გრადუს სითბოს, უკვე 16 ივნისს ტემპერატურა არ აწევია ბლუს 18-21 გრადუსის ზემოთ. დგომარეობა გაართულა აქ აღმოსავლეთიდან, კასპის ზღვის მხრიდან ჰაერის შედარებით ცივი მასების შემოჭრამ. უახლოეს დღეებში კვლავ აღდგება ზაფხულის ცხელი ამინდი და მხოლოდ საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოვა ნათესებისათვის ძალზე საშიში თბილი წვიმები.

ეხება საშვილიშვილო საქმეს

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საზოგადოების ცენტრალური საბჭო და პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი წლეულს 25 ივნისს ატარებენ პედაგოგიურ-მკვლევართა ასოციაციის გაფართოებულ სხდომას.

დღის წესრიგი: „პედაგოგიური მეცნიერების როლი ეროვნული სკოლის რეორგანიზაციაში".

სხდომა პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართება. დასაწყისი 12 საათზე. მისამართი: თბილისი. ივანე ჯავახიშვილის ქუჩა № 1:

სხდომის მონაწილეთა რეგისტრაცია 11 საათიდან დაიწყება.

საორგანიზაციო ჯგუფი, საინფორმაციო-სარეკლამო სააგენტო „ამარტი".

გამოსათხოვარი

უშანგი ობოლაძე

ქართულმა ეროვნულმა განათლებამ, საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ცნობილი მკვლევარი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **უშანგი ობოლაძე.**

უშანგი ობოლაძე დაიბადა 1909 წელს დაბა ხაშურში, სადაც მამამისი პლატონი, წარმომობით ს. ხრეკილის მკვიდრი, რკინიგზელად მუშაობდა. 1916 წლიდან იგი ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე იყო.

1925 წელს უშანგი ობოლაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დამთავრა 1929 წ. აქედან იწყება მისი მრავალფეროვანი პრაქტიკულ-პედაგოგიური, თეორიული და ორგანიზაციული მოღვაწეობა, რომელიც დროის მიხედვით სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს ღებულობს. დაწყებითი სკოლის მასწავლებლობიდან მან თანამიმდევრულად გაიარა განათლების დარგში მოღვაწეობის ყველა საფეხური — განათლების განყოფილების ინსპექტორის, გამგის, გამსახკომის მეთოდისტის, სექტორის გამგის, სასკოლო სამართველოს უფროსის თანამდებობები. თითქმის ოცი წლის განმავლობაში იგი მისთვის დამახასიათებელი საქმის ცოდნითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა განათლების მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობას.

ბატონი უშანგი წლების განმავლობაში დიდი გულმოდგინებით სწავლობდა სკოლების გამოცდილებას და ამ გზით მიღებული მდიდარი მასალა მეცნიერულად განაზოგადა ორ ათეულ კაპიტალურ მონოგრაფიასა და ასეულობით სამეცნიერო სტატიაში.

ფართო სამეცნიერო წრეებში დიდი აღიარება მოიპოვა ბატონი უშანგის ბრწყინვალე გამოკვლევამ ქან-ქაკ ბუსოს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მასში ნათლად გამოვლინდა ავტორის ღრმა ერუდიცია და ფილოსოფიური განსწავლულობა.

ეროვნული კულტურის შესწავლისა და გამდიდრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები შოთა რუსთაველზე, დავით ბურანმიშვილზე, იაკობ გოგებაშვილსა და მის დედაენაზე. ასევე შესანიშნავია მისი „აკაკი და ახალგაზრდობა", სადაც წარმოჩენილია ახალგაზრდობის სულის შესაფიშვლისა და მოტივაციის უკვდავი იდეები.

მრავალი წლის განმავლობაში პროფესორი უშანგი ობოლაძე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობდა პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიაში.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე უშანგი ობოლაძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრების აღზრდისა და გადამზადების საქმეს.

ძნელად მოინახება საქართველოში კაცი, რომელმაც უშანგი ობოლაძის მოღვაწეობის მადლი არ იწილადა. მასწავლებელთა მასწავლებლის, დაუღალავი ამაგდარის ღვაწლი ყველასთვის გასაგები, თვალსაჩინო და დაფასებული იყო, ამ მხრივ შესანიშნავია ადამიანის ბედნიერება და ვალმოხდილმა დატოვა ადამიანის დროებითი საყოფელი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გასწორება

ჩვენი გაზეთის ამა წლის 8 ივნისის ნომერში „პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მასალის „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან" მესამე სვეტის ზემოდან მეათე სტრიქონში, ნაცვლად 27 ივლისისა, მითითებული უნდა იყოს 27 ივნისი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 21 ივნისს.

მოადგილე რედაქტორი ნაზუკა ფაჩუაშვილი

ფასი 5 კაპ. ინდექსი 38096, თბილისი, 9. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მოადგილე რედაქტორის ბინაზე 99-92-26;
ნაწილების რედაქტორი 99-73-24.
ანგარიშსწორებული ნაწილი საგაზეთო კომპანიაში, სოხუმაულის ქ. № 23.